დამტკიცებულია „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორის მიერ

დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

პროფესორ ემერიტუსის წოდების მინიჭების სახელმძღვანელო და პროცედურები

თბილისი 2025

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს შესავალ დებულებებს (ზოგად-განმარტებითი), სახელმძღვანელო და პროცედურულ პრინციპებს.

შესავალი:

1. პროფესორ „ემერიტუსის“ სტატუსი არის საპატიო პროფესორის წოდების კატეგორია; ეძლევა/ენიჭება პენსიაზე გამსვლელ პროფესორებს, რაც ასევე ასახავს/აღიარებს მათ ღვაწლს დტსუ-ს და უფრო ფართო აკადემიური საზოგადოების წინაშე. ეს მათ აძლევს პროფესორის წოდების გამოყენების უფლებას.

- ✓ პროფესორი „ემერიტუსი“-თვის სავალდებულოა დტსუ-ში დადგენილი პოლიტიკა, პროცედურები და წესები. ისინი ასრულებენ სამუშაოს დტსუ-ს სახელით, უნდა ინარჩუნებდნენ კონფიდენციალურობას, იცავდნენ ინტელექტუალურ საკუთრებას და მიჰყვებოდნენ „ღია მეცნიერების“ პრინციპებს.

ყველა პროფესორ-ემერიტუსს:

- ✓ შეუძლია მიმართულების მიხედვით მიიღოს მონაწილეობა დიპლომირებული მედიკოსის და დოქტორანტების პროგრამებში
- ✓ შეიძლება იყოს ხელმძღვანელი ან კომისიის წევრი სამეცნიერო ნაშრომის დაცვის პროცესში,
- ✓ იყოს წევრი, აკადემიურ თანამდებობებზე არჩევისთვის გამოცხადებულ საკონკურსო კომისიებში
- ✓ მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევით და სხვა შემოქმედებით სამუშაოში, კონსულტირებისა და მხარდამჭერის სტატუსისთ
- ✓ მისთვის მიწვდომადია სივრცე, აღჭურვილობა და სხვა პირობები სამუშაოს შესასრულებლად
- ✓ უნივერსიტეტი მიესალმება თანამშრომლების ნებაყოფლობით წვლილს უნივერსიტეტის საქმიანობაში
- ✓ ნებაყოფლობითი სასწავლო, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო პროცესებსა და საქმიანობაში მონაწილეობა რეგულირდება პროფესორ-ემერიტუსის <u>**შრომითი ხელშეკრულებით**</u> განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ფარგლებში
- ✓ პროფესორ „ემერიტუსს“ აქვს ბიბლიოთეკის სრული წევრობის უფლება
- ✓ დტსუ იტოვებს უფლებას არ მიანიჭოს ემერიტუსის წოდება, თუ ამისთვის არსებობს საზრისიანი საფუძველი.

პროცედურები:

- ✓ პირის ემერიტუსის წოდებაზე წარდგენისთვის განცხადებაში ასევე აღწერილი უნდა იქნას პროფესორის ძირითადი მიღწევები დტსუ-ში მუშაობის პერიოდში, ასევე მისი რეზიუმე (აღნიშნულის გამოყენება მოხდება მხარდამჭერი წერილის შედგენისთვის (პრორექტორის მიერ)
- ✓ კადრების სამსახური შეიმუშავებს წერილის შაბლონს **(დასაბუთებული წინადადება**), რომელიც მოიცავს ინფორმაციას წარდგენილს დეპარტამენტის (ან ფაკულტეტის) მიერ, პროფესორის რეზიუმეს.
- ✓ კადრების სამსახური წერილს (სრუფასოვნად შედგენილს) აგზავნის ვიცერექტორთან, რომელიც ხელს აწერს და აგზავნის პროფესორ-ემერიტუსთან.
- ✓ წერილი ინახება კადრებში, პროფესორის პირად საქმეში, შესაბამისი ჩანაწერებით.

დასაბუთებული წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- კანდიდატის განსაკუთრებული დამსახურებების ახნა (მინიჭებისთვის გათვალისწინებული იქნება საქმიანობის ხანგრძლივობა, გამორჩეულობა და ლიდერობა, განსაკუთრებით პროფესორის პოზიციაზე მისი მოღვაწეობის პერიოდში; სამეცნიერო აქტივობა და გამორჩეული აკადემიური მიღწევები)
- კანდიდატის პროფესიული ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია
- კანდიდატის წოდების მინიჭების რეკომენდაცია